საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლავრენტი მაღლაკელიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20
წერის უნარი	20	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	95	100

სახელი, გვარი : ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი: 25/05-2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ლავრენტი მაღლაკელიძის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ლავრენტი მაღლაკელიძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი ლავრენტი მაღლაკელიძე გამოირჩევა თავდაჭერილობით, პრინციპულობით, კორექტულობითა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარით. ამასთან, მას გააჩნია მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. აღსანიშნავია, რომ ლავრენტი მაღლაკელიძე კოლეგებთან თუ სხვა პირებთან
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	

მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒		ურთიერთობისას არის კორექტული, იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს და გამოირჩევა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. აგრეთვე, მის მიმართ დისციპლინური დევნა არ ყოფილა დაწყებული.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20	ლავრენტი მაღლაკელიძე სისხლის სამართლის მიმართულებით სიღრმისეულად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. მასთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ეცნობა საკონსტიტუციო სასამართლოს და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა. იგი იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის XII ჯგუფის მსმენელი და იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა 55-ე ადგილი.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20	კანდიდატს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 4-წლიანი გამოცდილება. ამასთან, იგი გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნებითა და საკუთარი შეხედულებების სათანადოდ დასაბუთების უნარით.

წერის უნარი	20	20	ლავრენტი მაღლაკელიძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების[1] შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა კარგი წერის უნარით. კერძოდ, კანდიდატს თანმიმდევრულად აქვს ჩამოყალიბებული სამართლებრივი და ფაქტობრივი საკითხები. აგრეთვე, მის მიერ მოყვანილი არგუმენტები არის არაორაზროვანი და ნათელი. ტექსტი არის გამართული და დაინტერესებული პირებისათვის რთულად აღსაქმელი არ არის.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	კანდიდატი გამოირჩევა კარგი მეტყველებითა და განსხვავებული აზრის მოსმენის უნარით. ამასთან, იგი ღიად და ნათლად გადმოსცემს საკუთარ შეხედულებებს.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	ლავრენტი მაღლაკელიძე გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულობით, პროდუქტიულობით და გააჩნია საქმის სათანადოდ მომზადების, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ამასთან, 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდის განმავლობაში, კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, საკმაოდ მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა (100%) და უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებლები (98,5%).

[1] თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 20 ოქტომბრის განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2017 წლის 7 ნოემბრის განაჩენი, სამეცნიერო/სხვა სახის პუბლიკაცია: რეცენზია სადისერტაციო ნაშრომზე: „სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართის მიხედვით). დასკვნა დოქტორანტის კოლოქვიუმის თემაზე: „გაუფრთხილებლობის ფსიქოლოგიური ასპექტები“, „ნასამართლობა, როგორც ქმედების შემადგენლობის დამაფუძნებელი გარემოება და მისი გაქარწყლების პრობლემა დანაშაულთა ერთობლიობის დროს“ ლ. მაღლაკელიძე 2020წ., „ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე“ 2019წ.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5	კანდიდატი ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ტრენინგში, შეხვედრასა და კონფერენციაში.
პროფესიული აქტივობა	5	5	ლავრენტი მაღლაკელიძეს მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში. ამასთან, იგი აქტიურად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. კერძოდ, კანდიდატი ამჟამად გახლავთ სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი. ამასთან, იგი 2019 წლიდან არჩეულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე. აღსანიშნავია, რომ მას გამოცემული აქვს არაერთი სტატია. აგრეთვე, ლავრენტი მაღლაკელიძე წარმოადგენს სხვადასხვა სახელმძღვანელოს სამეცნიერო რედაქტორს.
ქულათა ჯამი	95	100	
დასაბუთება	**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ლავრენტი მაღლაკელიძე კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან		

	მიმართებით. კერძოდ, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ლავრენტი მაღლაკელიძის შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, ლავრენტი მაღლაკელიძის დახასიათების მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ ლავრენტი მაღლაკელიძის შეფასებისას გათვალიწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები, მახასიათებლები და სხვ. ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით *<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის</u>* მახასიათებლის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია აღინიშნოს, რომ ლავრენტი მაღლაკელიძეს გააჩნია მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და იგი სამსახურებრივ თუ სხვა ხასიათის ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. კერძოდ, კანდიდატი დროულად იხდის ფინანსურ ვალდებულებებს, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, მის მიერ ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას რაიმე დარღვევას ადგილი არ ჰქონია და სხვ. მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხული რეკომენდატორები ლავრენტი მაღლაკელიძის პირად თვისებებს აფასებენ დადებითად. ამასთან, აღნიშნავენ, რომ იგი არის პატიოსანი, კორექტული, თავმდაბალი და კეთილსინდისიერი. უნდა ითქვას ისიც, რომ ერთ-ერთი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებში უთითებს, ოდნავ მოჭარბებულ თვითკრიტიკას. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ კანდიდატს კარგად აქვს გაანალიზებული როგორც პირადი, ისე პროფესიული მოვალეობები. *<u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლის</u>*

	თაობაზე უნდა აღინიშნოს, რომ ლავრენტი მაღლაკელიძის შეფასებისას გამოკითხული რეკომენდატორები აღნიშნავენ რომ იგი არის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი. ამასთან, კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციითა და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გამოვლენილი თვისებების გათვალისწინებით, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ იგი არის პრინციპული, პიროვნულად შეუვალი, მყარი, ზეგავლენის მიმართ მედეგი და აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ლავრენტი მაღლაკელიძის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით კი უნდა აღინიშნოს, რომ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი, შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლენილა პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიკერძოებულობის ნიშნები. *<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან</u>* დაკავშირებით მოძიებული ინფორმაციის თანახმად უნდა ითქვას, რომ კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს, კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას არის კორექტული და გამოირჩევა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. აღსანიშნავია, რომ საჯარო მოსმენაზე, კანდიდატი იყო თავაზიანი, თავდაჭერილი და ახერხებდა საკუთარი ემოციების მართვას. ამასთან ლავრენტი მაღლაკელიძის შესახებ მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე ნათელი გახდა ისიც, რომ მის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა და იგი სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. *<u>პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციის მახასიათებელს</u>* რაც შეეხება, ლავრენტი მაღლაკელიძის პიროვნულ თვისებებს და მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, აღნიშნავენ, რომ იგი კოლეგებში და იურიდიულ წრეებში სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით. ერთ-ერთი რეკომენდატორი უთითებს იმასაც, რომ კანდიდატის მიერ მიღებული რამოდენიმე გადაწყვეტილება ქრესტომათიული ხასიათისაა და ისწავლება, განიხილება სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში და აკადემიურ კონფერენციებზე. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, ინტერნეტ სივრცეში კანდიდატის შესახებ ძირითადად ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ ლავრენტი მაღლაკელიძეს

	მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში და იგი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. *ფინანსური ვალდებულების მახასიათებელთან* დაკავშირებით, მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ ლავრენტი მაღლაკელიძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ამასთან, იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს. **უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე კანდიდატ ლავრენტი მაღლაკელიძის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას. კანდიდატის მიერ *სამართლებრივი ნორმების ცოდნასთან დაკავშირებით* უნდა აღინიშნოს, რომ ლავრენტი მაღლაკელიძე სისხლის სამართლის მიმართულებით

	სიღრმისეულად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. მასთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ეცნობა საკონსტიტუციო სასამართლოს და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა. იგი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის XII ჯგუფის მსმენელი და იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა 55-ე ადგილი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2020 წლის 25 დეკემბერს ლავრენტი მაღლაკელიძესთან გაიმართა საჯარო მოსმენა.[2] საჯარო მოსმენაზე კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. უნდა აღინიშნოს, რომ იგი გამოირჩეოდა თანმიმდევრულობით, აზრის ნათლად გადმოცემისა და ანალიზის უნარით. კანდიდატი აქტუალურ და პრობლემურ სამართლებრივ საკითხებზე საუბრისას ანვითარებდა საინტერესო, არგუმენტირებულ და დასაბუთებულ მსჯელობას. ამასთან, იგი უმეტესად ამომწურავად პასუხობდა დასმულ შეკითხვებს. კანდიდატის *<u>სამართლებრივი დასაბუთების, კომპეტენციისა და წერის უნართან</u>* დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ ლავრენტი მაღლაკელიძეს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 4-წლიანი გამოცდილება. იგი ამჟამად არის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე. ლავრენტი მაღლაკელიძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების[3] შესწავლის საფუძველზე კი უნდა

[2] იხ. ლავრენტი მაღლაკელიძესთან გამართული საჯარო მოსმენა: https://www.youtube.com/watch?v=rXewmvphug4

[3] თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 20 ოქტომბრის განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2017 წლის 7 ნოემბრის განაჩენი, სამეცნიერო/სხვა სახის პუბლიკაცია: რეცენზია სადისერტაციო ნაშრომზე: „სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართის მიხედვით). დასკვნა დოქტორანტის კოლოქვიუმის თემაზე: „გაუფრთხილებლობის ფსიქოლოგიური ასპექტები“, „ნასამართლობა, როგორც ქმედების შემადგენლობის დამაფუძნებელი გარემოება და მისი გაქარწყლების პრობლემა დანაშაულთა ერთობლიობის დროს“ ლ. მაღლაკელიძე 2020წ., „ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე“ 2019წ.

	აღინიშნოს, რომ იგი გამოირჩევა კარგი წერის უნარით. კერძოდ კანდიდატს თანმიმდევრულად აქვს ჩამოყალიბებული სამართლებრივი და ფაქტობრივი საკითხები. აგრეთვე, მის მიერ მოყვანილი არგუმენტები არის არაორაზროვანი და ნათელი. ტექსტი არის გამართული, ადვილად აღქმადი და მასში რაიმე თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა. კანდიდატის *ზეპირი კომუნიკაციის უნართან* დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ მას გააჩნია გამართული მეტყველების უნარი. აგრეთვე, ლავრენტი მაღლაკელიძე ღიად და ნათლად გადმოსცემს საკუთარ შეხედულებებს და აქვს განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი. ლავრენტი მაღლაკელიძის *პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარგაზში ქცევასთან დაკავშირებით* კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და მის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, მიზანდასახულობით, გულმოდგინებით, პროდუქტიულობით და გააჩნია საქმის ჯეროვნად, პასუხისმგებლობით მომზადების, მხარეებთან სათანადოდ მოქცევისა და სასამართლო სხდომის კარგად წარმართვის უნარი. ასევე, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ კანდიდატს აქვს სტრესულ სიტუაციაში მუშაობის, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების შესაძლებლობა. უშუალოდ კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თაობაზე კი უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში საკმაოდ მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა (100%) და უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებლები (98,5%). კანდიდატის *აკადემიური მიღწევების, პროფესიული წვრთნისა და პროფესიული აქტივობის* შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების ინტერესი. კანდიდატი აქტიურად იღებს მონაწილეობას მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. ამასთან, იგი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. კერძოდ, ლავრენტი მაღლაკელიძე გახლავთ სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი. 2019 წლიდან კი იგი არჩეულია ივ. ჯავახიშვილის

	სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე. აღსანიშნავია, რომ ლავრენტი მაღლაკელიძეს გამოცემული აქვს არაერთი სტატია. ასევე, იგი წარმოადგენს სხვადასხვა სახელმძღვანელოს სამეცნიერო რედაქტორს. უნდა ითქვას, ისიც, რომ კანდიდატს ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა და მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო-საგრანტო პროექტებში. **შეჯამება** ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატ ლავრენტი მაღლაკელიძესთან დაკავშირებით შესაძლებელია, ითქვას რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ მის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 95 ქულას. შესაბამისად, კანდიდატის ცოდნის, პროფესიული გამოცდილებისა და მის მიერ გამოვლენილი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს უნარი ღირსეულად შეასრულოს უზენაესი სასამართლოს, მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოს, მოსამართლისთვის დაკისრებული რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობა.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 28/05-2021